ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №68

13 მარტი 2013 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული ქონების საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის გადაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 ოქტომბრის N302 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გადაეცეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის განთავსების მიზნით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული დაბა ჩოხატაურში, წერეთლის ქ. N2-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - N28.01.22.139) პირველ სართულზე არსებული 35.20 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი, თანდართული პირველი სართულის გეგმის მიხედვით, ღირებულებით - 3013.20 (სამიათასსამეტი ლარი და 20 თეთრი) ლარი.
2. დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგებელს (თამაზ ჯინჭარაძე) უზრუნველყოს მხარეებს შორის გასაფორმებელი მიღება-ჩაბარების აქტის მომზადება.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. № 4.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2012 წლის 31 დეკემბრის N61-01-12/4261 წერილი.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი *მიხეილ უნგიაძე*

ვიზირებულია,
იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*